

# ფოტო თვალით

თბილისის ველოტრეკზე...

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.



ჟურნალი „სპორტოვეცი“ აქვეყნებს პოლონელი სპორტსმენის მარია სტრუჟესკას სურათს, რომელმაც მხატვრულ ტანვარჯიშში II მსოფლიო ჩემპიონატზე მაყურებელთა და სპეციალისტთა საყოველთაო სიმპათიები დაიმსახურა. ამის საფუძველი იყო ეფექტური, რთული ილეთები და ნაერთები, რომლებიც სპორტსმენს უხვად ჰქონდა ჩართული თავის ვარჯიშებში.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. სტრუჟესკა ასრულებს ვარჯიშს საგნით.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 3 (2980) ● ოთხშაბათი, 5 იანვარი, 1966 წ. ● ფასი 3 კაპ.


## ზესტაფონელთა საქმეები

სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის მოწვევის თარიღების გამოცხადებისთანავე ზესტაფონის ყველა საწარმო დადგა საყრილობო ვახტზე. განსაკუთრებით აქტიურობენ ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგები და მე-5 სალიანდაგო დისტანციის რკინიგზელები.

მეტალურგებმა საზეიმო პირობა დადეს, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობას მიაწვდიან მეტ და მაღალხარისხოვან ფეროშენადნობს, შეამცირებენ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას. ქარხნის საამქროთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა № 1 საამქროს კოლექტივი. მისი მე-6 ღუმელის მომსახური პერსონალი ძირითადად ფიზკულტურელებითაა დაკომპლექტებული. სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში ნაწრთობმა ვაჟკაცებმა — ვ. ყანჩაველმა, ზ. ბუცხრიკიძემ, ლ. ჭიპაშვილმა, გ. ფერაძემ და ზ. ქავთარაძემ გადაჭარბებით გაანაღდეს წლიური გეგმა, დიდი რაოდენობით დაზოგეს ნედლეული და [illegible] ათასზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მათ განზრახული აქვთ ლითონის დნობის I კვარტალის გეგმა გაანაღდონ სკკპ ყრილობის გახსნის დღისთვის.

მეტალურგებს არც მე-5 სალიანდაგო დისტანციის ფიზკულტურელები ჩამორჩებიან. ისინი იბრძვიან ფოლადის მაგისტრალის გამტარიანობის ზრდისა და სახალხო-სამეურნეო ტვირთბრუნვის დაჩქარებისათვის. მე-5 სალიანდაგო დისტანციამ შარშანდელი ვალდებულებანი 110 პროცენტით გაანაღდა და 50 ათასამდე მანეთი დაზოგა. წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგი მაჩვენებლები აქვთ დისტანციაში შემავალ დარკვეთის, რიონისა და ჭიათურის საონსტატოებს, რომლებსაც სპორტში მოწინავენი — რ. ლავთაძე, ს. გელაშვილი და ი. ჯიქურიძე ხელმძღვანელობენ. მათ მუდამ სანიმუშო მდგომარეობაში აქვთ ობიექტები.

საყრილობო ვახტმა სხვებიც დააწინაურა — ქ. კუხიანიძე, მ. ხაჭაპურიძე, ა. კოპაძე და გ. მიქაბაძე ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებენ.

ა. ბანუბრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

## მწვრთნელებმა შეადგინეს ნაკრები

კალათბურთში ვაჟთა XXXIII საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის დამთავრების შემდეგ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტმა მიმართა თორმეტივე გუნდის მწვრთნელს კითხვით — „როგორი იქნებოდა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა, თუ დააკომპლექტებდით მას თქვენი ქვეჯგუფის 6 კალათბურთელისგან“? კაუნასში დასახელებული მოთამაშეებიდან ნაკრებში „მოხვდნენ“ თბილისის „დინამოს“ სპორტსმენები საკანდელიძე, კაზანჯიანი, სხიერელი. მათგან ხმათა მაქსიმუმი — 6 მიიღეს საკანდელიძემ და სხიერელმა. ასეთი გამოვიდა კაუნასური ნაკრები: საკანდელიძე, სარპალისი, პაულაუსკასი (ორივე — კაუნასის „ჟალგირისიდან“), ლეპმეტსი (ტარტუს „კალევი“), სხიერელი.

რიგის „ნაკრები“ ასე გამოიყურება — ტრავინი, ვოლნოვი, იურგენსონი, ბიკოვი, ივანოვი, ლიპსო.

● პ ა რ ი ზ ი, 4 იანვარი. ყოველკვირეულ „ფრანს-ფუტბოლის“ ტრადიციულ ყოველწლიურ კლასიფიკაციაში ინგლისის ნაკრებმა I ადგილი დაიკავა. კლასიფიკაციის შედგენისას მხედველობაში მიიღება საერთაშორისო შეხვედრების რიცხვი ევროპის ქვეყნების ნაკრებების დონეზე, გამარჯვებათა რიცხვი და მეტოქეთა ოსტატობა. 1965 წელს ინგლისელებმა 9 მატჩი გამართეს და მხოლოდ ერთ მატჩში დამარცხდნენ საკუთარ მოედანზე ავსტრიასთან. ინგლისელთა საბრძოლო სიაშია გამარჯვებები ესპანეთთან, შვეციასთან, გფრ-თან. სსრ კავშირის ნაკრები გფრ-თან ერთად VI-VII ადგილებს იყოფს. შარშან საბჭოთა ფეხბურთელებმა 12 მატჩი გამართეს. აქედან 6 მოიგეს, 4 ფრედ დაამთავრეს და 2 წააგეს — ბრაზილიასა და უელსთან. აი, როგორ გაანაწილა ქვეყნები „ფრანს-ფუტბოლმა“: 1. ინგლისი, 2. უნგრეთი, 3. პორტუგალია, 4-5. ბულგარეთი და იტალია, 6-7 სსრ კავშირი და გფრ, 8-9. საფრანგეთი და გდრ, 10-12. ბელგია, უელსი და ჩეხოსლოვაკია. გასულ წელს პირველ ადგილს იყოფდნენ უნგრელები და ესპანელები. საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელები III-IV ადგილებზე იყვნენ.

## „არა!“ — ამბობენ სპორტსმენები

ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ბოლო დროს ხშირად შეხვდებით ასეთ გამოთქმებს: „ვიეტნიკელთა კლუბი“, „ვიეტნიკელების მანიფესტაცია“, „ვიეტნიკელების მარში“ და ა. შ. ამერიკული ბურჟუაზიული პრესა ცდილობს დაარწმუნოს მკითხველები, რომ ვიეტნამში წარმოებული ომის წინააღმდეგ მოძრაობა „ერთეულთა მოძრაობაა“, უმთავრესად, „ახირებული სტუდენტებისა“ და „თავქარიანი სპორტსმენებისა“. ამ მიზნით ბროდვეის კალმოსნებმა შეთხზეს სპეციალური მეტსახელი „ვიეტნიკი“, რომელმაც, მათი ჩანაფიქრით, მეხსიერებაში უნდა გამოიწვიოს სხვა მეტსახელი „ბიტნიკი“ (აშშ-ში ასე უსაქმურებსა და მოდას გადაყოლილებს უწოდებენ). მაგრამ ვერავითარი სიტყვიერი კაურები ვერ უშველიან ამერიკელ მჯლაბნელებს ჩირქი მოსცხონ ვიეტნამში აგრესიის წინააღმდეგ შეერთებულ შტატებში ამჟამად გაჩაღებულ მოძრაობას, რომელშიც ქვეყნის მთელ პროგრესულ ახალგაზრდობასთან ერთად ბევრი ამერიკელი სპორტსმენიც მონაწილეობს.

„სპორტი უპოლიტიკოდ“ — ამ ყბადაღებული ლოზუნგის მეშვეობით აშშ-ის ოფიციალური სპორტული ორგანიზაციები ყოველნაირად ცდილობენ ჩამოაშორონ ახალგაზრდობა ვიეტნამში ომის საწინააღმდეგო მოძრაობას. მაგალითად, ნიუ-იორკის სტუდენტურმა მძლეოსნურმა კავშირმა თავის წევრებს ოფიციალურად აუკრძალა „ყველა პოლიტიკურ დემონსტრაციაში მონაწილეობა“. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ამავე კავშირის მძლეოსნებსა და ნიუ-იორკის სხვა სტუდენტებს ამ დღეებში მანიფესტაცია გაემართათ და შემდეგი ლოზუნგებით გამოსულიყვნენ:

„არა — სისხლისმღვრელ ბრძოლას ვიეტნამში!“

„ჩვენ გვიყვარს ამერიკა — ნუ შეარცხვენთ მის სახელს!“

„პოლიტიკის გარეშე სპორტზე“ გამუდმებით ლაპარაკობენ აშშ-ის სპორტის უმაღლესი ორგანიზაციებიც — სამოყვარულო ათლეტური კავშირი (ააიუ) და სტუდენტთა სპორტული ახალგაზრდობის კავშირი (ნკაა). ამავე დროს, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს თავიანთი საზიზღარი წვლილი შეაქვთ შეერთებული შტატების არმიაში — მკვლელებისა და ლანდსკნეხტების არმიაში ამერიკელი ახალგაზრდების ჩათრევაში.

ავიღოთ, თუნდაც, ამერიკის ყველაზე დიდი სპორტული ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიტედი“, რომელიც ეკუთვნის ვიეტნამში ბინძური ომის გაფართოების აშკარა მომხრეს ჰენრი ლიუსს. ეს ჟურნალი მჭიდროდაა დაკავშირებული ააიუ-სთან და აქვეყნებს ამერიკულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მომღიმარე ვაჟბატონების ფოტოსურათებს, რომლებიც „შეკმაზულია“ სპორტსმენებისთვის საგანგებოდ დაწერილი პენტაგონის სარეკლამო რელიაციებით.

ეს რელიაციები ცინიკური გამოთქმებითაა შემკული: „ომი კეთილშობილთა და მამაცთა სპორტია“, „შედით აშშ-ის არმიაში, იქ საუკეთესო ფიზიკურ განვითარებასაც მიიღებთ და მთელ მსოფლიოსაც ნახავთ“. სწორედ ასეთი სარეკლამო განცხადებების შემწეობით წარმოიდგინა ვინმე კაპიტან უოლტერ დენიელმა ომი „ნამდვილი მამაკაცის კარგ სპორტულ გასეირნებად“. კაპიტანი დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „რევიუმ“ ახლახან გააცნო მკითხველებს. სამშობლოში დენიელს ყველა მონაცემი ჰქონდა კარგი რეგბისტი გამხდარიყო. ვიეტნამში ომს იგი ისე უყურებდა, როგორც მინდორზე სუსტ მეტოქესთან იოლ ორთაბრძოლას.

„რევიუს“ კორესპონდენტთან პირველ შეხვედრისას კაპიტანი ტრაბახობდა:

„ჩვენთვის ეს ომი დაბრკოლებებით რბენაა. აქ, „დ“ ზონაში, საიგონის მახლობლად. ჩვენ დავსდევთ ვიეტკონგელებს (ასე უწოდებს დასავლეთის პრესა პარტიზანებს — ა. გ.), ისინი კი გვემალებიან. ჩვენ ვპოულობთ მათ ბრინჯს, იარაღს, სამედიცინო საგნებს, ვიეტკონგელები კი ვერ გვიპოვნია. ჩვენ კი გვსურს მათთან პირისპირ შეხვედრა“.

რამდენიმე დღის შემდეგ ყოჩაღ კაპიტანს მეორედ შეხვდნენ. „ახლა დენიელსა და მის ხელქვეითებს საშუალება მიეცათ პირისპირ შეხვედროდნენ ვიეტკონგელებს. 6 მოკლული და 20 დაჭრილი — აი, ეს არის ამ გაცნობის ფასი. ახლა მათ მხოლოდ ერთი აზრი აქვთ — ჯუნგლებიდან ჩქარა მოძურწვა“...

დენიელს, უნდა ითქვას, ბედმა გაუღიმა. იგი ცოცხალი დარჩა. მაგრამ შორეულ ვიეტნამში უკვე ბევრმა ამერიკელმა ჰპოვა სამარე. და მათ შორისაა წარსულ ზაფხულში მოკლული ცნობილი მძლეოსანი რონალდ ზინი, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიადაზე VI ადგილი დაიკავა სპორტულ სიარულში.

1965 წელს ზინს 26 წელი შეუსრულდა. იგი ოცნებობდა სპორტის საყვარელ სახეობას უკეთ დაუფლებოდა და 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებშიც მიეღო მონაწილეობა. მაგრამ პენტაგონმა მას სხვანაირი ფინიშის ხაზი გაუმზადა. აშშ-ის არმიის ლეიტენანტი რ. ზინი საომრად ვიეტნამში გაგზავნეს, ოდესღაც იგი ამერიკის ღირსებას იცავდა, ახლა კი სამშობლოს არცხვენდა და სახალხო შურისმაძიებლის ტყვიას არ აცდა: ნიჭიერი სპორტსმენი აშშ-ის მმართველი წრეების ინტერვენტული პოლიტიკის ერთ-ერთ საცოდავ მსხვერპლად იქცა.

როგორ გამოეხმაურა ამერიკის სპორტული პრესა ზინის დაღუპვას? რა დაწერა ამის თაობაზე ამერიკელი მძლეოსნების ჟურნალმა „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსმა“, რომელიც თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ზინი „ალბათ, ამერიკელ მოსიარულეთა შორის ერთადერთია, რომელიც საერთაშორისო კლასის შედეგებს აჩვენებს“? იქნებ, ჟურნალმა გულახდილად უამბო თავიანთ მკითხველებს — სპორტსმენებს, რომ გამოჩენილი მძლეოსნის სიკვდილის მიზეზი არის ვიეტნამში გაჩაღებული სამარცხვინო ომი, სადაც ასობით არმიელი ახალგაზრდა იღუპება? ნურას უკაცრავად!

თავის ერთ-ერთ ბოლო ნომერში „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსმა“ გამოაქვეყნა ვინმე ელიოტ დენმენის წერილი სათაურით: „ზინი ვიეტნამში მოკვდა“. ეს წერილი ზუსტი ასლია იმ ეტალონური ნეკროლოგებისა, რომლებიც პენტაგონელი ცენზორების მიერ ერთიანი ნიმუშით იქმნება. ასეა თუ ისე, ზინი ინტერვენტი იყო და „ბრძოლის ველზე“ მისი მოქმედებების ქება ნიშნავს იმსჯელო აშშ-ის რეაქციული იმპერიალისტური წრეების სასარგებლოდ.

ამერიკის სპორტული ხელმძღვანელები ხელს უწყობენ სპეციალური სპორტული ორგანოების ფურცლებზე ჯარში გაწვევის რეკლამირებას და სპორტსმენებს „პოლიტიკურ დემონსტრაციებში მონაწილეობას“ უკრძალავენ. მაგრამ სულ უფრო მეტი უბრალო ამერიკელი, სულ უფრო მეტი სპორტსმენი მტკიცე უარს უცხადებს ბინძურ ომს ვიეტნამში.

ა. გურკოვი.

◆ რიო-დე-ჟანეირო, 4 იანვარი. ბრაზილიის დელეგაცია ემზადება ლონდონს გასამგზავრებლად, რათა შეისწავლოს პირობები, რომლებშიც მოუწევთ გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონებს ფეხბურთში. დელეგაციის 2 წევრი, მათ შორის ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ს. პაჩეკო, თავისი ქვეყნის წარმომადგენლები იქნებიან ფინალისტთა წილისყრაზე. პაჩეკო თან წაიღებს ბრაზილიის ნაკრების საპატიო ჯილდოს — ჟიულ რიმეს თასს.

ეროვნული ბიბლიოთეკა











მწვრთნელთა დასახმარებლად

# „ნისქვილები" კლასიკურ ჭიდაობაში









კლასიკურ ჭიდაობაში დგომიდან ჩოქბჯენში გადაყვანის გარდა არსებობს ილეთთა ოთხი ჯგუფი: მოგვერდები, ხიდურით გდებები, დაკიდებით გდებები და ბიძგითი გდებები. კლასიკური ჭიდაობის პრაქტიკა ამ ბოლო დროს გამდიდრდა ილეთთა ისეთი ჯგუფით, რომელიც მანამდე მხოლოდ თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში გამოიყენებოდა.

### „წისქვილი" იმავსახელიან ხელზე მოვლებით და მუცელზე დაბჯენით

შემტევი მოჭიდავე მეტოქეს ხელს ავლებს მაჯაში, მეორე ხელით კი ასრულებს გამოკვრას ისე, თითქოს უკანა სარტყელზე გადადის (სურ. № 1). შემდეგ მარცხენა ხელს უშვებს მაჯას, თავს დაბლა ხრის და შედის იღლიის ქვეშ (სურ. № 2). ამ დროს იგი კისრითა და მხრით მჭიდროდ ეკვრება მეტოქეს იღლიის ქვეშ და მკერდზე. მარცხენა ხელის მუცელზე დაბჯენით (რათა მეტოქე წინ არ გაუსხლტეს) მას სწევს გვერდზე მარჯვნივ და ქვევით. ამასთან, ზურგითა და კისრით აწევება მაღლა, იხრება მუხლში (სურ. № 3), ჯდება მარჯვენა მუხლზე, მართავს მარცხენა ხელს (სურ. № 4). ამ მდგომარეობიდან შეტევაზე მყოფი მოჭიდავე მეტოქეს ატრიალებს მარჯვნივ უკან (სურ. № 5).

### „წისქვილი" კისერზე მოვლებით და ხელის მუცელზე დაბჯენით

შემტევ მოჭიდავეს ხელი ზევიდან აქვს მოვლებული მეტოქის კისერზე და ქვედა ყბაზე. მეორე ხელით კი მისი მაჯა უჭირავს (სურ. № 6). ამის შემდეგ მარცხენა ფეხი მიაქვს მოწინააღმდეგის მარცხენა ფეხთან ახლოს და კისერზე მოვლებული მარჯვენა ხელით სწევს მას მაღლა (სურ. № 7), ხელს მაჯიდან უკრავს მაღლა, თავს დაბლა ხრის და ეშვება წინ, მარჯვენა მუხლზე (სურ. № 8). მარცხენა ხელს იდაყვის სახსარში მოხრილად აბჯენს მუცელსა და თეძოს (სურ. № 9). ამის შემდეგ, ისეთივე მოძრაობით, რომელიც წინა ილეთის ჩატარებისასაა აღწერილი (სურ. № 5), მოწინააღმდეგეს ატრიალებს და ლეიბზე აგდებს.

იგივე ილეთი შეიძლება შესრულდეს მეტოქის ხელზე ორი ხელის მოვლებით, ხელის მკლავზე და ტანზე მოვლებით, ნაირსახელოვან მკლავზე და მუცელზე დაბჯენით.

ილეთთა ამ ჯგუფის ყველა ვარიანტი დაწვრილებით აღწერილია ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულის, ამ სტრიქონების ავტორის საკურსო თემაში.

**ა. სანიკიძე,**
**სპორტის ოსტატი.**

---

# ეს უკვე მერამდენედაა, პოლულიახო?!

ბორის პოლულიახის სახელი საყოველთაოდ ცნობილია. საკმარისია აღინიშნოს, რომ წყალში ხტომის არც ერთ საბჭოთა ოსტატს არ ჰქონია ისეთი შესანიშნავი შედეგები საერთაშორისო სარბიელზე, როგორც მას.

პოლულიახმა გასული სეზონიც კარგად დაამთავრა: კიდევ ერთხელ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. მაგრამ ამჯერად მის სპორტულ მიღწევებზე არ გვსურს საუბარი. ჩვენი მსჯელობის საგანია სამარცხვინო საქციელი, რომლითაც „ისახელა თავი" პოლულიახმა ხარკოვში, „დინამოს" საკავშირო სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ.

საქართველოს „დინამოს" საბჭოში ამას წინათ გაიმართა ამხანაგური სასამართლო პოლულიახის მიერ ჩადენილი უმგვანო საქციელის გამო. საქმე ის არის, რომ ხარკოვში დამთავრებული სპარტაკიადა პოლულიახმა თავისებურად აღნიშნა: გვიან ღამით სასტუმროში მთვრალი დაბრუნდა და შეურაცხყოფა მიაყენა დარაჯს. როცა მას წესრიგისკენ მოუწოდეს, იგი არავის დაემორჩილა, მერე კი გაქცევით უშველა თავს.

მეორე დღეს იგი ამოიცნეს, ხულიგნური საქციელის გამო დააპატიმრეს და საქმე ამხანაგურ სასამართლოზე გასარჩევად გადმოუგზავნეს „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოს.

ამხანაგურ სასამართლოს ესწრებოდნენ მოწინავე სპორტსმენები, საქალაქო სპორტკავშირისა და წყალში ხტომის რესპუბლიკური ფედერაციის წარმომადგენლები. როგორც სასამართლოს წევრებმა, ისე დამსწრე სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა ერთსულოვნად დაგმეს პოლულიახის სამარცხვინო საქციელი.

დიდი გულისწყრომა გამოიწვია პოლულიახის გამოსვლამ. იგი მომხდარ ფაქტში ადანაშაულებდა არა იმდენად თავის თავს, რამდენადაც... მწვრთნელებსა და ამხანაგებს, რომლებიც, თურმე ნუ იტყვით, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მის ადამიანად ჩამოყალიბებას (!).

ერთი სიტყვით, პოლულიახმა ბოლომდე ვერც კი შეიგნო თავისი დანაშაული... ეს მით უფრო გულსატკენია, რომ ამ სპორტსმენის ცხოვრებაში ამგვარი რამ პირველი შემთხვევა როდია. ამიტომ იყო, რომ ამხანაგურმა სასამართლომ მკაცრი სასჯელი გამოუტანა თავგასულ სპორტსმენს: საზოგადოებრივი საყვედური გამოუცხადა მას და შუამდგომლობა აღძრა წყალში ხტომის რესპუბლიკური ფედერაციის წინაშე 2 წლით მისი პირობითი დისკვალიფიკაციის თაობაზე.

**ვ. ბუხნიკაშვილი,**
„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსპექტორი.

---

## ყრილობას მიუძღვნეს

ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლაში ნორჩი თაობის ფიზიკურ გაკაჟებასა და სპორტულ დაოსტატებას მთელის გულისყურით ეკიდებიან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სკოლის ფიზკულტურელები მრავალჯერ გამოსულან საპრიზო ადგილებზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში საკმარისია ითქვას, რომ მარტო 1965 წელს ფიზკულტურულ კოლექტივს საქალაქო სასკოლო შეჯიბრებებში მიღწეული წარმატებებისთვის მიღებული აქვს 12 საპატიო სიგელი.

ფიზაღზრდის მასწავლებლების ო. შავდიას, ე. ალიმანოვის, გ. ბზიკაძისა და ლ. შავდიას ხელმძღვანელობით ნორჩები გულმოდგინედ მეცადინეობენ, იკაჟებენ სხეულს. მძლეოსნობის, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის, კალათბურთის, ფრენბურთის, სროლის, ჭადრაკის, შაშის სექციებში 160 ბავშვია გაერთიანებული, რომელთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. ახლახან მოსწავლე-ფრენბურთელთა საქალაქო ჩემპიონატში სკოლის ჭაბუკებმა I ადგილი მოიპოვეს, გოგონებმა კი — II ადგილი.

სკოლის აღზრდილებმა მრავალჯერ ისახელეს თავი როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო სარბიელზე. არც ახლა არიან გულხელდაკრეფილნი აქაური მოსწავლეები: ახლახან მხატვრულ ტანვარჯიშში სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა გულნარა შალიკიანმა, ხოლო სპორტის ოსტატობის კანდიდატები გახდნენ მანანა მაისურაძე, ტატიანა მინდიაშვილი, ალექსანდრე ბინიაურიშვილი და ალექსანდრე ქისტაური.

კოლექტივის ნაყოფიერ საქმიანობაზე ისიც მეტყველებს, რომ აქ გადაჭარბებით არის განაღდებული 1965 წლის თანრიგოსანთა მომზადების გეგმა.

მე-9 საშუალო სკოლაში ამ დღეებში გაიმართა სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილი შიდასასკოლო შეჯიბრება კალათბურთში. ასპარეზობაში I ადგილი დაიკავეს X (მესამე) კლასის წარმომადგენლებმა.

**ი. ბუხაიძე.**
ქუთაისი.

## გეგმის მიხედვით

სოფელ ქსოვრისის საშუალო სკოლაში (ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. ლაბაური) ნაყოფიერად მუშაობს კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, შაშის, ფეხბურთის სექციები. შარშან აქ 41 მესამეთანრიგოსანი მომზადდა. და ეს მაშინ, როცა სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი.

სექციებში სისტემატურად ტარდება საწვრთნელი ვარჯიში, ხშირად იმართება შიდასასკოლო შეჯიბრებანი, ამხანაგური შეხვედრები მეზობელი სოფლების მოსწავლეებთან და სხვ.

ცოტა ხანიც, და ქსოვრისში დაიწყება ტიპიური სასკოლო შენობის აგება. ახალ სკოლას ექნება სპორტდარბაზიც. ცხადია, მაშინ აქ უფრო სისხლსავსე გახდება ფიზკულტურული საქმიანობა.

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებისთვის ფიზაღზრდის მასწავლებელმა და ნორჩმა აქტივისტებმა დროულად შეადგინეს სპორტულ ღონისძიებათა გეგმა. ახლა ქსოვრისელი მოსწავლეები ამ გეგმის მიხედვით მართავენ შიდასასკოლო შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

**ვ. ქისტაური.**
მცხეთის რაიონი.

---

### ქრონიკა

### რუსთავი

ჭაბუკ ფრენბურთელთა 18 გუნდი იბრძოდა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. ფინალში მე-9 სკოლის კოლექტივმა სძლია პირველსკოლელებს — 2:1 (14:16, 15:5, 15:9) და უძლიერესის სახელიც მოიხვეჭა.

**რ. გაბრიჭიძე.**

### ცაგერი

რაიონის კულტურის სახლში გაიმართა მოსწავლეთა პირველობა ქართულ ჭიდაობაში. თავიანთ წონებში გაიმარჯვეს: ა. სილაგაძემ, ჯ. ფულარიანმა, რ. სილაგაძემ, ს. მდივანმა (ყველანი — ცაგერის საშუალო სკოლა), რ. ქლიბაძემ, კ. ლარცულიანმა (ორბელი — ორბელის საშუალო სკოლა), დ. ხეცურიანმა (ცხუკუშერის საშუალო სკოლა), მ. ასათიანმა (ტვიშის საშუალო სკოლა). გუნდური პირველობა მოიპოვა ცაგერის საშუალო სკოლის ნაკრებმა.

**გ. ბუგაევა.**

---

## პიტერ სნელის 4 პასუხი

ახალი წლის წინა დღეს ადნ-ის სააგენტომ (გდრ) საუკეთესო წამყვან სპორტსმენთა შორის გაავრცელა თავისი ტრადიციული ანკეტა. ანკეტა შეიცავს 4 შეკითხვას:

1. რომელი იყო თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე უფრო კარგი და ყველაზე მწარე მომენტი?

2. 1965 წლის რომელ სპორტულ მიღწევას აფასებთ ყველაზე მეტად და რა საუკეთესო შედეგებს ელით სპორტის თქვენს სახეობაში?

3. რამდენად ხართ ამჟამად დაკავშირებული სპორტთან და რა არის თქვენი ახლანდელი პროფესია?

4. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მადრიდში გამართულ 63-ე კონგრესზე გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თითქმის ერთხმად იქნა აღიარებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიან წევრად. როგორ აფასებთ გდრ-ში სპორტის განვითარებას და გაქვთ თუ არა საერთო ინტერესები გდრ-ის ათლეტებთან?

აი, რა უპასუხა ამ შეკითხვებზე სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 800 მეტრზე (1.44,3) და 880 იარდზე (1.45,1) მსოფლიო რეკორდების მფლობელმა, 27 წლის ახალზელანდიელმა პიტერ სნელმა:

— პირველ შეკითხვაზე შემიძლია უყოყმანოდ გიპასუხოთ. ჩემი სპორტული კარიერის ყველაზე უფრო კარგი მოვლენა იყო რომის ოლიმპიურ თამაშებში 800 მეტრზე რბენაში გამარჯვება. რომში სრულიად უცნობ მძლეოსნად ჩავედი, მაგრამ სამშობლოში ოლიმპიურ ჩემპიონად დავბრუნდი. რაც შეეხება ყველაზე მწარე მომენტს, არასდროს დამავიწყდება ის დღე, როცა 1965 წლის დასაწყისში ვანკუვერის (კანადა) სტადიონზე მაყურებლებმა მისტვინეს, რადგან ერთ მილზე რბენაში ფინიშთან უკანასკნელი მივედი.

წლის უმაღლეს მძლეოსნურ მიღწევად მიმაჩნია ავსტრალიელი რონ კლარკის მსოფლიო რეკორდი 10 ათას მეტრზე რბენაში. 13 ივლისს ოსლოში მან ეს დისტანცია 27.39,4-ში გაირბინა და ამით თავისივე შედეგი 36,2 წამით გააუმჯობესა. ერთ მილზე რბენაში, ჩემი აზრით, 3.50,0-ის ზღვარის გადალახვა ყველაზე მეტად შეუძლია გდრ-ის სპორტსმენს იურგენ მაის. მაის შემდეგ ამ საზღვრის გადალახვის ყველაზე დიდი პერსპექტივები აქვთ ამერიკელ ჯიმ რაიანს და აფრიკელ კიპჩონგ კეინოს. ასე რომ, შლაგბაუმი, რომელიც 3.50,0-ზეა გადებული, ძალიან მალე უნდა დაეცეს.

მე თავი დავანებე სპორტით აქტიურ მეცადინეობას და აღარ ვვარაუდობ ხელახლა დავუბრუნდე მას. ამჟამად ვმუშაობ სასიგარეტო ფირმის განყოფილების დირექტორად. დაკავებულობის მიუხედავად, ვინარჩუნებ ფორმას —რეგულარულად ვვარჯიშობ, დავრბივარ გოლფის მოედნის ირგვლივ, რომელიც ჩემი ბინის სიახლოვეს მდებარეობს. ბევრს ვთამაშობ ჩოგბურთს, ხოლო 1966 წელს ვაპირებ სერიოზულად მოვკიდო ხელი გოლფსაც.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები განუხრელად იზრდებიან და სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას. ერთობ შთამბეჭდავია მეთოდებიც, რომელთა დახმარებითაც გდრ-ში სპორტი ვითარდება. ძირითადი ყურადღება ექცევა სამეცნიერო მუშაობას და ფიზიკური კულტურის საყოველთაო გავრცელებას. სიამოვნებით ვიხსენებ იმას, თუ ევროპაში ჩემი უკანასკნელი ტურნეს დროს როგორ ჩავედი ერფურტში. სწორედ იმ დღეს მაიმ დაამხო ჩემი მსოფლიო რეკორდი 1000 მეტრზე რბენაში. სტადიონზე მაშინ მოვხვდი, როცა შეჯიბრება უკვე დამთავრდა და მაყურებლები შინ წასვლას აპირებდნენ. როცა მათ მიცნეს, ყველა დაუბრუნდა თავის ადგილს და მეც პირდაპირ კოსტუმითვე მომიხდა სტადიონზე საპატიო წრის შემორბენა. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

## ყოველი

### ყუმბარა მწვრთნელის წინააღმდეგ

ეს ბუენოს-აირესში მოხ... უცნობმა მამაკაცმა ფეხბურ... ში სახელგანთქმული მწვრთნელ... რენატო კეზარინის ბინის კარის წ... დატოვა პლასტმასის პატარა ყუ... მწვრთნელის არც ერთ მეზობელ... ყურადღებაც არ მიუქცევია ამის... ვის, რადგან, ალბათ, გადაწყვიტ... რომ ყუთში მეგობრების ან ნათეს... ვებისგან მოძღვნილი ტრადიციულ... საშობაო საჩუქარი იყო.

მაგრამ რამდენიმე საათის შემდ... ყუთი... აფეთქდა. მასში აღმოჩნ... პლასტიკური ყუმბარა. აფეთქებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიევის „დინამოს" ფეხბურთელები ემზადებიან...



როგორც ცნობილია, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში ერთმანეთს ხვდებიან შოტლანდიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის — „სელტიკის" (გლაზგო) და კიევის „დინამოს" ფეხბურთელები. ამ გუნდების ორი შეხვედრა ჩატარდება ასეთი თანმიმდევრობით: 12 იანვარს გლაზგოში, ხოლო 19 იანვარს—თბილისში.

კიეველი ფეხბურთელები უკვე ჩამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, სადაც ინტენსიურ წვრთნას აწარმოებენ მომავალი მატჩებისთვის.

სურათზე: კიევის „დინამო" საწვრთნელ ვარჯიშს ატარებს თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# პარადოქსი თვითმფრინავში

ძუკუ ცხრაბუნდლაიას ძალიან მოსწონდა თავისი სპორტული დიდება. ის იყო მაღალი, წელში სარივით გაჭიმული შუამარბი, ფართო მხარ-ბეჭით და ჭორფლი თვალების ოდნავ ნაღვლიანი გამომეტყველებით. თავისი არაჩვეულებრივი პოპულარობის გამო ძუკუს არა ერთხელ გადახდენია ყოვლად უმნიშვნელო, მაგრამ მეტისმეტად სასიამოვნო თავგადასავალი.

ამჯერადაც ყველაფერი დიდებამ გამოიწვია, სპორტულმა პოპულარობამ. ჯერ კიდევ „აუ" არც კი ასხლეტილიყო მიწიდან, რომ თვითმფრინავში დადგმულმა რადიომ გამოაცხადა:

— განვაგრძობთ უკანასკნელ ცნობებს: დღეს თბილისიდან ლონდონს გაფრინდა სახელგანთქმული მეცნიერი, „აუ"-ს კონსტრუქტორი, პროფესორი ატომ ურანაშვილი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს მერაკეტეთა სიმპოზიუმში.

— ა-უ-უ! — ხმამაღლა წამოცდა ცხრაბუნდლაიას. — ამისთანა მხეცი თუ ზის ამ თვითმფრინავში, მე ვინ დამხედავს ზედ!

— ნუ ღელავთ, ახალგაზრდავ, — თქვა ცხრაბუნდლაიას მეზობელმა, ასე 40-45 წლის შავგვრემანმა კაცმა. — ისწავლეთ, იკითხეთ და, თუ მოინდომებთ, უკეთეს თვითმფრინავს შექმნით.

— ეს თვითმფრინავი თქვენი გაკეთებულია, ბატონო? — ჰკითხა ძუკუმ და სავარძლიდან წამოიწია.

— ჰო.. დიახ — მიუგო პროფესორმა. — თქვენ ძალიან გსურთ დიდი კაცი გახდეთ?

— დიდკაცობა ვის არ უნდა, ბატონო! — გაუკვირდა ძუკუს.

— წიგნებს თუ კითხულობთ? — ჰკითხა პროფესორმა და ილუმინატორში აყრილი თოვლივით შეჯგუფებულ, ოლრო-ჩოლრო ღრუბლებს გახედა.

— ერთხელ წაველი ლაშე არ მეძინა, ბატონო. დილით რომ ავდექი, სასთუმალში წიგნების გროვა აღმოვაჩინე. ვიღაცას ძილის დასაფრთხობად ჩაედო ჩემთვის...

— კი მაგრამ, ასე გინდათ გახდეთ სახელგანთქმული კაცი? — გაიკვირვა პროფესორმა.

რეაქტიული ძრავები დასაკლავი ხარებივით ღრიალებდნენ. „აუ" ვეებერთულა ხარაბუზასავით ჰკვეთდა სტრატოსფეროს და უკვე მეათასე კილომეტრს ყლაპავდა. როცა თვითმფრინავში „სასტარტო მღელვარება" შეწყდა, მგზავრებთან სტიუარდესა შემოვიდა:

— სიმაღლე 12 ათასი მეტრი, — თქვა მან. — თვითმფრინავი მიჰყავს კაპიტან ბენდელიანს. ხომ არ ინებებთ მოსკოვურ კამფეტებს?

— მოსკოვური ძეხვი არა გაქვთ? — იკითხა შუა ხნის სმოკინგიანმა მგზავრმა.

სტიუარდესამ კოპწია თავი გააქნია.

— ეჰ, მოსკოვური ძეხვის საჭმელად ჩავჯექი თვითმფრინავში, თორემ რა მინდოდა ლონდონში. სხვაგან სანთლით რომ ეძებო, ვერ იშოვი...

## იუმორისტული მოთხრობა

— მართალია, ბატონო? — განაგრძო ძუკუ ცხრაბუნდლაიამ, — მომავალ კოსმოსურ ხომალდებში დრო უფრო ნელნელა გავა, ვიდრე დედამიწაზეო, რომ ამბობენ?

— როგორ გითხრა, ბიჭიკო, — უპასუხა პროფესორმა, — ალბერტ აინშტაინი მიიჩნევდა თუ კოსმოსური ხომალდი სინათლის სიჩქარით იფრენს, მასში გატარებული ერთი წელიწადი დედამიწის მრავალ ათას წელიწადზე უფრო ხანგრძლივი იქნებაო.

— ა-უ-უ! — თქვა ძუკუმ, — კაი ვინმე ყოფილა... აინშტეინი. ჩვენი გუნდი სხვა პლანეტაზე ტურნირში მონაწილეობისთვის რომ გაფრინდეს, იქ უკვე 10 ათასი წლის წინათ იქნება დარიგებული მედლები, არა?..

პროფესორ ურანაშვილს გაახსენდა, რომ ლონდონში წასაკითხ ლექციაში ერთი საკითხი ჰქონდა გასარკვევი და ცხვირი ქაღალდებში ჩარგო.

რადიო კი განაგრძობდა:

— გადმოგცემთ სპორტის ამბებს: დღესვე „აუ"-თი ლონდონს გაფრინდა მსოფლიოს იდეალური ნაკრების აქტიური შუამარბი ძუკუ ცხრაბუნდლაია. იგი 21 წლისაა. როგორც ჩვენმა რადიომსმენელებმა იციან, მან 2 კვირის წინათ ცოლად შეირთო რესპუბლიკის წამყვანი მოციგურე ფიგურა სრიალაია...

120 მგზავრის 240-მა თვალმა გამოასხივა მხიარული შუქი და ძუკუ ცხრაბუნდლაიას ესროლა. ძუკუ არ დაიბნა. როგორც უკვე ვთქვით, იგი შეჩვეული იყო პოპულარობას, რომელსაც სასიამოვნო წუთებთან ერთად ბევრი მომქანცველი საათი მოჰქონდა პატრონისთვის. ცხრაბუნდლაია მოთმინებით დაელოდა გულშემატკივრებს.

— პატივცემულო ძუკუ, — ყველას დაასწრო მასთან მისვლა 15-16 წლის ბიჭმა, — ძალიან გთხოვთ სახელი მაინც ჩამიწეროთ ბლოკნოტში.

— რატომ სახელი, შეიძლება ორივე, — ამოიხვნეშა ძუკუმ და ავტოგრაფის მთხოვნელს ბლოკნოტში ჩაუწერა: „ძ. ცხრაბუნდლაია".

ბიჭს სტუდენტები მოჰყვნენ, სტუდენტები რომელიღაც მუსიკალური ანსამბლის ქალიშვილებმა შეცვალეს. ბოლოს, როცა ყველა მგზავრი დარწმუნდა, რომ ცხრაბუნდლაია დაუმადლებლად არიგებდა ავტოგრაფებს და საუბრის გუნებაზეც იყო, შუამარბის სავარძელთან მხიარული კომპანია გაჩნდა.

— ჰო-ჰო-ჰო, რა შუტის პატრონია! — თქვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, რომელსაც ტორეადორის თეთრი წინდები და გლისერის მსგავსი ფეხსაცმელები ეცვა.

— არ ვიცით!? — იუკადრისა ყველამ.

— ძუკუ, ერთხელ, რომის სტადიონზე რომ თამაშობდი, საჯარიმო დარტყმით ბადე გაგირღვევია და ბურთი რომელიღაც ეკლესიის საკურთხეველზე დაცემულა. მართალია ეს ამბავი?

— ის ბურთი კარდინალს წმიდანთა ნაწილად შეუნახავს ვატიკანში.

— ბიჭო, რაღა ვატიკანში ტოვებდი, საქართველოში ვერ ჩამოიტანე? — თქვა ერთმა დედაბერმა და პირჯვარი გადაიწერა.

— მეცა მაქვს ასეთი... ნაწილი! — ამაყად წამოიძახა პირველი ავტოგრაფის პატრონმა 15-16 წლის ბიჭმა.

— რა გაქვს შენ?

— აი, — თქვა ბიჭმა და უბის ჯიბიდან ცისფერი ჭინჭი ამოიღო.

ამ დროს თვითმფრინავის ადგილობრივმა რადიომ ჩაახველა და გამოაცხადა, რომ რეაქტიულ ძრავებში უწესივრობა დაიწყო. უწესივრობა იმდენად რთულია, პილოტები და ბორტმექანიკოსები ვერას გახდებიან, ამიტომ პროფესორ ატომ ურანაშვილს ვთხოვთ პილოტის ჯიხურში შემობრძანდესო.

— გთხოვთ გამატაროთ! — თქვა პროფესორმა, — ყველაფერი რიგზე იქნება...

პროფესორი გაატარეს.

— ერთი მოგკლიათ! — თქვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, — გააკეთებენ, აბა, არ გააკეთებენ?.. რა თქვი, ბიჭო, რა არისო ეს ჭინჭი?

— ეს ჭინჭი, ჩემო ბიძია, მოსკოვში მერგო, ლუჟნიკის სტადიონზე. შარშან ფინალური მატჩი რომ დამთავრდა და ძუკუ ცხრაბუნდლაიას მაყურებლებმა მაისური გახადეს, მე იქ ვიდექი, წავატანე ხელი მაისურს და ეს ნაჭერი შემრჩა...

— მომიხიე, რა! — თქვა ქალიშვილმა მუსიკალური ანსამბლიდან.

— ამხანაგებო, როგორ შეიძლება ასე, — თქვა სტიუარდესამ, — ცხრაბუნდლაიას ხვალ „უემბლიზე" საპასუხისმგებლო მატჩი აქვს, თქვენ კი სულის ამოთქმის საშუალებასაც არ აძლევთ ფორვარდს...

თვითმფრინავი ძლიერად დაფეთებული ხარაბუზასავით ჰკვეთდა სტრატოსფეროს. ილუმინატორში უკვე გამოჩნდა ბრიტანეთის ნისლიანი ნაპირები. პროფესორი ურანაშვილი, რომელმაც უკვე გააკეთა თავისი საქმე, სავარძელს დაუბრუნდა.

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა მეცნიერმა, — პილოტებმა საოცარი ენერგია და საზრიანობა გამოიჩინეს. აბა, ხვალინდელ მატჩს ხომ არ ჩაშლიდნენ....

გ. შადური.

# ვინანიებ...

საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელი საქციელის გამო 1965 წლის 4 სექტემბრიდან მე გამრიცხეს თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივიდან და მომცეს დისკვალიფიკაცია.

ეს სასჯელი სავსებით სამართლიანი და ღირსეული იყო. მე ღრმად განვიცადე მშობლიური კოლექტივიდან გაძევება და სინანულით ვიხსენებ ჩემს მიერ დაშვებულ შეცდომას. ვიმეორებ: მშობლიური გუნდისა და საზოგადოებრიობის განაჩენი ჩემს მიმართ სამართლიანი იყო.

სრული შეგნებითა და სერიოზულობით ვფიქრობ ჩემს შეცდომებზე, სათანადო ანალიზი გავუკეთე მათ და სიტყვას ვაძლევ ჩემი მხრივ მომავალში ადგილი აღარ ექნება მსგავს ამბავს. მინდა მთელი მონდომებით, ენერგიით, და შესაძლებლობებით შევეცადო დანაშაულის გამოსყიდვას, საკუთარი წვლილი შევიტანო ჩვენი გუნდის — თბილისის „დინამოს" შემდგომ წარმატებათა საქმეში.

გთხოვთ მომცეთ საშუალება საქმით დავამტკიცო ნათქვამი.

გ. სიჭინავა.

**რედაქციისაგან:** ამ წერილით მიმართა თბილისის „დინამოს" ყოფილმა ფეხბურთელმა გოჩა სიჭინავამ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს. რესპუბლიკური სპორტკავშირის პრეზიდიუმმა განიხილა გ. სიჭინავას წერილი და შესაძლებლად ცნო იგი პირობით დააბრუნონ გუნდში და საკავშირო შეჯიბრებებზე დაუშვას. თუ გ. სიჭინავა კვლავ ჩაიდენს საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელ საქციელს, იგი გადაჭრით და საბოლოოდ მიიღებს მკაცრ სასჯელს.

# უფროსი რედაქტორი აქაც უფროსია

20 მოჭადრაკე ვაჟი მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის პირველობაში.

კომიტეტის ჩემპიონის წოდება მოიპოვა უფროსმა რედაქტორმა, პირველთანრიგოსანმა ა. გაბილაიამ, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა და მხოლოდ 2 პარტია დაამთავრა ყაიმით. II-III ადგილები გაიყვეს რედაქტორმა დ. იოსელიანმა და კორესპონდენტმა შ. ჭიაბრიშვილმა. ისინი ლიდერს მხოლოდ I ქულით ჩამორჩნენ. IV ადგილი წილად ხვდა კორესპონდენტ ნ. გიორგობიანს, ხოლო V — მხატვარ ა. ბუაძეს.

უახლოეს ხანში ტურნირის საუკეთესო მონაწილეთაგან შემდგარი გუნდი შეხვედრას გამართავს სხვადასხვა საწარმო-დაწესებულების მოჭადრაკეებთან.

განზრახულია კომიტეტის პირველობაზე შეჯიბრებების გამართვა აგრეთვე შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში.

გ. ცაგაძე.

# მხრიდან

დაარღვია კიბის ბადე, მწვრთნელის ბინის ფანჯრები ჩაიმსხვრა. საბედნიეროდ შინ არ იყვნენ არც კეზარინი და არც მისი ახლობლები. ამიტომ არავინ დაშავებულა.

პოლიციამ უმალვე დაიწყო ბოროტმოქმედის ძებნა. აღმოჩნდა, რომ მწვრთნელს მტრები არ ჰყოლია. მაგრამ გუნდმა, რომელსაც იგი ავარჯიშებს, — „რივერ პლეიტმა" აფეთქებამდე რამდენიმე დღით ადრე მოულოდნელად წააგო მატჩი კლუბ „ბოკა ხუნიორსთან" — 1 : 2. მატჩის დამთავრებისთანავე თავიანთი გუნდის დამარცხებით გაბოროტებულმა გულშემატკივრებმა კეზარინის ცემა მოინდომეს. მაგრამ მწვრთნელმა პოლიციის დახმარებით შეძლო სტადიონიდან გაქცევა. და აი, მაშინ, როგორც პოლიციას მიაჩნია, „რივერ პლეიტის" ფანატიკურმა ქომაგებმა გადაწყვიტეს ყუმბარის მეშვეობით ჩაეშხამებინათ მწვრთნელისთვის შობის დღესასწაული.

## პაოლო გუცის საათი

ფეხბურთის იტალიელ მსაჯს პაოლო გუცის ერთობ ორიგინალური გატაცება აქვს თავისუფალ დროს იგი მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ სხვადასხვაგვარ საათს აკეთებს. ცოტა ხნის წინ მან დაამზადა „თავისი ცხოვრების საუკეთესო ნაწარმოები". საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივი „მსაჯური" საათის ციფერბლატზე ციფრების ნაცვლად გამოხატულია მინიატიურული ფეხბურთელები სხვადასხვა ნომრით. ყოველ 15 წუთში ზარის წკრიალის ნაცვლად ისმის გაჭედილი სტადიონის ხმაური. ყოველ ნახევარ საათში გაისმის მაყურებელთა ვულური სტვენა (როგორც ჩვეულებრივ უსტვენენ ხოლმე მსაჯს). და, ბოლოს, ყოველ საათს ისმის ვილაცეების ჩახლეჩილი ხმები: „მსაჯო, გაეთრიე". ზუსტად 12 საათზე ციფერბლატის თავზე წამომართული პატარა სახლიდან გამორბის პლასტმასის მინიატიურული მსაჯი, ხოლო მას მისდევს გამძვინვარებულ გულშემატკივართა ბრბო.

პ. გუცის ამ საათში უკვე შესთავაზეს დიდი თანხა, მაგრამ მან გადაჭრით იუარა ნახელავის გაყიდვა.

— სტადიონზე მე ხშირად განმიცდია ის, რაც ჩემს საათზე გამოვხატე, — განუცხადა გუციმ მყიდველებს, — და მხიამოვნებს ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მოვუსმინო და დავინახო, როცა შინ, უსაფრთხო ვითარებაში ვიმყოფები. არასდროს გავყიდი ჩემს „მსაჯურ" საათს, და ამას ვაძლევ ფეხბურთის ყოველი არბიტრი.

## „ყავისფერი ბომბარდირი" და ქურდები

ამ დღეებში ამერიკულ პრესაში ხელახლა გამოჩნდა პროფესიონალთა წრის კრივში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის ჯო ლუისის სახელი, ადამიანისა, რომელსაც ერთ დროს „უძლეველ ყავისფერ ბომბარდირს" ეძახდნენ და რომელიც ახლა სულ მივიწყებულია. ახლაც ჯო ლუისის სახელი სპორტულ ფურცლებზე კი არ მოიგონეს, არამედ იმ კუთხეში, რომელიც სისხლის სამართლის ქრონიკისთვისაა განკუთვნილი. საქმე ის არის, რომ ჯო ლუისის ბინაში, დენვერში, სადაც ის ამჟამად ცხოვრობს, შეიპარნენ ქურდები. მძარცველები ამით მაინცდამაინც არ გამხნევებულან. მათ მხოლოდ 620 დოლარი წაიღეს — ყველაფერი, რაც ყოფილ მოკრივეს დარჩენოდა. რა თქმა უნდა, რეპორტიორებმა სასწრაფოდ მიაშურეს „ყავისფერ ბომბარდირს" იმის გასაგებად, თუ რამდენადაა იგი განაწყენებული ასეთი დანაკარგით. ლუისმა ნაღვლიანად უპასუხა:

— ო, სრულიადაც არა მწყინს. მეცოდება კიდეც ეს საბრალო ადამიანები, რომლებიც იძულებულნი შეიქმნენ ასე ცოტა ეკმარათ. ჩემს ცხოვრებაში შემხვედრია ქურდები, რომლებსაც ისე მიჰქონდათ გაცილებით უფრო მსხვილი თანხა, რომ არაფერს რისკავდნენ. როცა მე რინგზე გამოვდიოდი, მილიონებს მიხდიდნენ. მაგრამ როცა სპორტს ჩამოვშორდი, ეს ფული სასწრაფოდ გადავიდა გადასახადების სამმართველოში, საქმოსნებისა და მენაჯერების ჯიბეებში. ახლა პოლიციას მაინც შემიძლია მივმართო. მაშინ კი ამის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა — ვერავითარი პოლიცია ვერ მიშველიდა. მე კანონის მიხედვით მძარცვავდნენ.

აახ-ი.

## შენიშვნები იაპონურ სპორტზე

# „ფუძი“ ჯერ გამოცანაა...

ადრიან კვირადღით კუნძულ ხონსიუს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პატარა ქალაქის იტინომიის ვიწრო ქუჩით მივდიოდით. აქ ოქტომბრის ამინდი მოსკოვის ზაფხულისას ჰგავს. მხოლოდ ხეთა ოქროსფერი ფოთლები და მომკილი ბრინჯის ზვინები გვახსენებდნენ, რომ შემოდგომა იდგა. ოქტომბერი იაპონიაში მარტო ბრინჯის მოსავლის აღების დრო კი არ არის, არამედ ქორწილების სეზონიცაა.

შუა ქუჩაში მივაბიჯებდით. იაპონიის პატარა ქალაქებში ტროტუარები არ არის. ერთი და ორსართულიანი სახლები პირდაპირ ქუჩაზე გამოდის. ერთ-ერთ სახლთან ეროვნულ კიმონოებში გამოწყობილი ნიქალაქეების ჯგუფი იდგა. ცნობისმოყვარე მეზობლები უთვალთვალებდნენ, თუ როგორ გადმოჰქონდათ მანქანიდან პატარძლის მზითევი. იქვე ბიჭუნებიც იდგნენ. მათ არ აინტერესებდათ არც მანქანა, არც მზითევი და არც ცნობისმოყვარეთა ბრბო. მათი მზერა მიმართული იყო ორ ისეთივე ბიჭზე, როგორებიც თვითონ იყვნენ. ეს ორი ბიჭუნა ერთმანეთს ხალათებში ჩაფრენოდა და ცდილობდა მეტოქე ასფალტზე დაენარცხებინა.

— აი, ასე იწყება ეროვნული ჭიდაობა ძიუ-დო. — თქვა ჩვენმა თანმხლებმა იაპონელმა ამხანაგმა ოხარამ. — ბავშვებს ყველგან უყვართ ჭიდაობა, მაგრამ იაპონელ ბიჭუნებს — განსაკუთრებით. მოდით, დღეს ძიუ-დოს შეჯიბრებაზე წავიდეთ.

და აი, ქალაქ ნაგოეში ვართ. აქ ჩატარდა იაპონიის მუშათა სპორტის II დღესასწაული. მივუახლოვდით ნაცრისფერ შენობას, რომელიც, როგორც ჩვენში ამბობენ, „მოდერნის“ სტილშია შესრულებული. ეს მუნიციპალიტეტის სპორტული დარბაზია, სადაც ძიუდოისტთა ტურნირი მიმდინარეობს. ვესტიბულში ფეხსაცმლის გახდა მოგვიხდა და წინდების ამარა ავუყევით კიბეებს: აქ ასეთი ჩვეულებაა. შევდივართ ფართო, ნათელ დარბაზში, რომლის იატაკიც ჭილობითაა დაფენილი. გაისმის განკარგულება „ხაძიმე!“ („დაიწყე!“) და თეთრ კიმონოებში ჩაცმული მოჭიდავეები იწყებენ ბრძოლას. სარმები, მოგვერდები, საბრძოლო შეძახილები. ყოველი მხრიდან ისმის ქომაგთა გამამხნევებელი ყვირილი.

— მას შემდეგ, რაც იაპონელი ძიუდოისტები თქვენს ჭიდაობა სამბოს გაეცვნენ, — გვეუბნება ტეცუო მოკუდაი, ყოფილი ძიუდოისტი, ახლა კი სპორტული ჟურნალისტი, — ძიუ-დო უფრო მოძრავი, მებრძოლი და მრავალფეროვანი გახდა.

მეორე დღეს მეზობელ ქალაქ გიფუში გავემგზავრეთ — იაპონიის XX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ძიუდოისტთა ფინალურ ასპარეზობაზე. ნაგოესა და გიფუში ძიუდოისტთა გუნდურ ასპარეზობაში 101 კოლექტივი მონაწილეობდა, ხოლო ჩემპიონის ტიტულისთვის პირად ასპარეზობაში 653 მოჭიდავე გამოდიოდა. და დარბაზები მუდამ გაჭედილია. ეს ჭიდაობა იაპონიაში ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო სიყვარულით სარგებლობს. ძიუ-დო აქ გასული საუკუნის (1882 წელი) მიწურულს წარმოიშვა, მალე მთელს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა და იაპონელ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ ძირითად სახეობად იქცა. ასობით ათასი გულშემატკივარი მოდის ხოლმე ცლიერი, მოქნილი და მამაცი სპორტსმენების ტურნირის საყურებლად.

გიფუში იაპონელმა მეგობრებმა გაგვაცნეს ბატონი რ. სეი კანოო, ძიუ-დოს სრულიადიაპონიის ფედერაციის პრეზიდენტი. „თქვენი ბიჭები, — გვითხრა ბატონმა კანოომ. — ძალიან კარგი ძიუდოისტები არიან. ჭიდაობის ამ სახეობაში შედარებით ნაკლები გამოცდილების მიუხედავად, საბჭოთა მოჭიდავეებმა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მაღალი ოსტატობა გამოავლინეს. ვფიქრობ, რომ მომავალში ისინი ბევრჯერ მოგვიძღვნიან სიურპრიზებს“.

ისევ ნაგოიში ვართ. ვრცელი დარბაზის იატაკი სარკესავით კრიალებს. ჯერ კიდევ ქუჩაში მოგვესმა ბურთის ბათქაბუთქი. აქ მიმდინარეობს მუშათა სპორტის დღესასწაულის საფრენბურთო ტურნირი. დარბაზში უჩვეულო სურათს წავაწყდით: ფრენბურთის მოედანზე 18 ქალიშვილია — 9-9 ყოველ გუნდში და არა 6, როგორც ეს ჩვეულებრივადაა მიღებული. მოედანიც უფრო დიდია, ვიდრე ჩვენთან. ამასთან იგი ხაზებით არაა დაყოფილი და მოთამაშეები თავისუფლად მოძრაობენ: უკანა ხაზიდან, მაგალითად, შეუძლიათ ბადესთან მიიჭრან [illegible] ანგარიში პარტიაში 21-მდე გრძელდება. [illegible] იაპონური [illegible] წესები, [illegible] რატომ, ამის თქმა ამჟამად ძნელია. იქნებ იმიტომ, რომ იაპონიაში მოსახლეობის მჭიდრო დასახლებაა და აქაურმა მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს უფრო პროდუქტიულად გამოიყენონ ფრენბურთის მოედნები. რაც უნდა იყოს, ეს წესები დღემდე მოქმედებს და სწორედ მათს საფუძველზე ატარებდა თავის შეხვედრებს 32 გუნდი, რომლებიც მუშათა სპორტის II დღესასწაულში გამოდიოდნენ.

მაგრამ ბოლო წლებში იაპონიაში ფართო გავრცელება ჰპოვა საერთაშორისო ფრენბურთმაც. საყოველთაოდ მიღებული წესებით სპარტაკიადაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდა 92 გუნდი, რომლებიც იაპონიის საფრენბურთო ფედერაციაში არიან გაერთიანებული. სულ ფედერაციაში ამჟამად 5 ათასამდე გუნდია. ეს ადასტურებს ფრენბურთის უდიდეს პოპულარობას.

ყველასთვის ცნობილია, თუ რა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს იაპონელმა ფრენბურთელებმა და, უწინარეს ყოვლისა, ფრენბურთელმა ქალებმა. და შესაძლოა ეს შემთხვევითი არ არის. ფრენბურთი იაპონიაში ამერიკიდან შემოვიდა 1913 წელს, მაგრამ პირველ წლებში იგი მხოლოდ გოგონებს — საშუალო სკოლის მოსწავლე ქალიშვილებს მოსწონდათ. 1918 წელს ქალაქ ოსაკაში შედგა ქვეყნის I ჩემპიონატი მოსწავლე გოგონათა შორის. და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იწყო ფრენბურთმა ჭაბუკთა შორის გავრცელებაც.

როგორ თამაშობენ დღეს იაპონიის უძლიერეს ფრენბურთელ ქალთა გუნდები? ვინ შეცვლის „ნიჩიბოს“ გუნდს, რომელიც გულშემატკივრებს ფენომენალური თამაშით ანცვიფრებდა? ამ კითხვებისთვის რომ გვეპასუხა გიფუს მახლობლად მდებარე პატარა ქალაქში გავემგზავრეთ. სადაც ღია ცის ქვეშ ტარდებოდა სრულიადიაპონური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ფრენბურთელ ქალთა შორის და უნდა ითქვას, რომ გოგონების თამაში კვლავინდებურად აღტაცებას იწვევს. კვლავ ისეთივე ვერაგულია მათი მოწოდებები. კვლავ ისევე საზრიანია მათი დაცვა. ჩვენს გვერდით მჯდომი ბატონი ი. მაედა, ფრენბურთის სრულიადიაპონიის ფედერაციის პრეზიდენტი, კომენტარს უკეთებს შეხვედრებს და მოგვითხრობს გეგმებზე.

— „ნიჩიბოს“ ნაცვლად, — ამბობს იგი, — ამჟამად მზადდება ფრენბურთელ ქალთა ახალი გუნდი, რომელსაც „ფუძი“ ეწოდება. იგი ჯერ გამოცანაა. ჯერჯერობით ეს გუნდი, რა თქმა უნდა, ისე ძლიერი არაა, როგორც „ნიჩიბო“, მაგრამ მეხიკომდე ჯერ ხომ კიდევ დროა...“

ტოკიოში ბეისბოლური სეზონის ყველაზე უფრო მძაფრ მომენტში მოვხვდით: ორი დღე რჩებოდა დედაქალაქის 6 საუნივერსიტეტო გუნდის ლიგაში ფინალური მატჩის გამართვამდე. ყველა გაზეთი აჭრელებული იყო წინა მატჩების ანგარიშებით და პროგნოზებით. აი, უკვე 40 წელია ტარდება ამ უმაღლესი ლიგის გუნდების ყოველწლიური ტურნირი. ბეისბოლი, რომელიც იაპონიაში 1873 წელს შემოვიდა ამერიკიდან, ისეთივე პოპულარობით სარგებლობს იაპონელ მაყურებლებში, როგორც ფეხბურთი ან ჰოკეი ჩვენს ქვეყანაში.

სტადიონზე, სადაც 60 ათასი მაყურებელი შეიკრიბა, შედგა გადამწყვეტი მატჩი ვასედისა და კეიოს უნივერსიტეტების გუნდებს შორის. ვხედავდი, თუ როგორ იკრიბებოდა სასტუმროებისა და რესტორნების ჰოლებში მდგარ ტელევიზორებთან უამრავი მაყურებელი, რომლებიც ვერ მოხვდნენ ტრიბუნებზე. ისინი განიცდიდნენ საყვარელი გუნდის ყოველ მარცხს. უხაროდათ მეტოქის ყოველი წარუმატებლობა. გაიმარჯვეს ვასედას სპორტსმენებმა და ასე გვეგონა, რომ დასასრული აღარ ექნებოდა მათ ქომაგთა სიხარულს...

თავიანთი გუნდის გამარჯვებით თავდავიწყებული 5 ათასამდე ვასედელი სტუდენტი საღამოს დედაქალაქის სინძიუკის რაიონში გამოვიდა დემონსტრაციით. ეს უზარმაზარი ბრბო ნიაღვარივით მიედინებოდა ქუჩაში. და ყველგან ისმოდა მხიარული სტუდენტური სიმღერა.

ასეთია სპორტისადმი იაპონელთა სიყვარული.

მ. დემჩენკო.

ტოკიო — მოსკოვი.

# რბოლა... სიკვდილისთვის

მარცხენა სურათი გადაღებულია ბონევილის მლაშე ტბაზე (აშშ). მასზე გამოსახულია ამერიკელი ავტომობილისტის კრეგ ბრიდლავის მანქანა, რომელსაც მყვირალა სახელწოდება აქვს — „ამერიკის სული“. რამდენიმე კვირის წინ 40 წლის ამერიკელმა არტ არფონსმა თავის „მწვანე ურჩხულზე“ სიჩქარის აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 927,869 კმ საათში. მაგრამ მისმა მიღწევამ დიდხანს ვერ გაძლო: ბრიდლავმა „ამერიკის სულზე“ საათში 966,554 კმ სისწრაფით გაიქროლა.

მაგრამ რბოლა სიკვდილისთვის ამაზე არ გაჩერებულა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მსხვილმა სანავთობო და საავტომობილო ფირმებმა მრბოლელები ბონევილის ტბაზე გაგზავნეს და მათ წინაშე დასახეს მსოფლიოს ახალი რეკორდების დამყარების ამოცანა, რეკორდებისა, რომლებიც დიდ რეკლამას შეუქმნიან ამ ფირმების საქონელს. ყოველივე ეს ახალ შემოსავალს მოუტანს ფირმებს და სარბოლო მანქანების შექმნაზე დახარჯულ თანხებს დიდი სარგებლით აანაზღაურებს.

ეს მანქანები კი მილიონობით დოლარს ფასობენ. ამერიკელი ავტომობილისტი კ. ბრიდლავი გამოსვლას აპირებს ისეთი მანქანით, რომელზეც დადგმული იქნება „მინიტმენისა“ და „პოლარისის“ რაკეტების მოწყობილობები. მსოფლიოს სანავთობო კომპანიამ „შელ ოილმა“ არტ არფონსის ძმას — უოლტს ათმბორბლიანი მანქანა შეუქმნა, რომელიც 15 რაკეტითაა აღჭურვილი (მარჯვენა სურათი). უოლტს მიაჩნია, რომ მისი მანქანისთვის საათში 1250 კმ სისწრაფე „ნორმალური“ იქნება.

ამერიკული პრესა რბოლებში ძმებ არფონსებს უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას. ინგლისური პრესის აზრით კი, ყველას აჯობებს ინგლისელი დონალდ კემპბელი, რომელსაც ბენზინის კონცერნის („ბპ“) მეთაურობით 17 ფირმა აფინანსებს. მაგრამ არც ერთი ბურჟუაზიული გაზეთი არ წერს იმაზე, თუ რაოდენ სახიფათოა სისწრაფისთვის ეს ომი, რომელიც მხოლოდ სანავთობო და საავტომობილო მონოპოლიებს აძლევს ხელს. 40 წლის არფონსი ამბობს, რომ მას დიდი-დიდი კიდევ 5 წლის სიცოცხლე დარჩენია. ბრიდლავმა კი, რომელიც არფონსზე უფრო ახალგაზრდაა, ანდერძი დიდი ხანია დაწერა. კემპბელი, რომელმაც ერთ-ერთი ავარიის დროს ხელ-ფეხი მოიტეხა, ხოლო მეორე კატასტროფისას კისრის მალები დაიმავა, თავის თავს უწოდებს „სიკვდილმისჯილ ადამიანს, რომელსაც ჯერჯერობით ბედი წყალობს“.

მაგრამ მიუხედავად ამისა, არფონსებიც, ბრიდლავებიც და კემპბელებიც აგრძელებენ რბოლას სისწრაფისთვის, უფრო სწორად კი რომ ვთქვათ, სიკვდილისთვის რბოლას. ამისთვის ხომ ისინი დიდ გასამრჯელოს იღებენ.

ა. მარიამოვი.

# ფიფ — პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირი

პარიზში დაარსდა ახალი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია — პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირი (ფიფ). მასში შევიდნენ ინგლისის, შოტლანდიის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიისა და ჰოლანდიის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირები. ახალი ორგანიზაციის მიზანია პროფესიონალ ფეხბურთელთა უფლებების დაცვა და მათი შეჯიბრებების მოწყობა. ფიფ-ის პრეზიდენტია პროფ. რ. ბლანპენი (ბელგია), ვიცე-პრეზიდენტები: ჰიდალგო (საფრანგეთი), ჰოტგესი (შოტლანდია), კერკუმი (ჰოლანდია), ლოიდი (ინგლისი) და მასერა (იტალია).

ფიფ-ის კონგრესი გაიმართება ივნისის ბოლოს ლონდონში, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ.

# 5:1 „სელტიკი“ ამარცხებს „რეინჯერსს“

შოტლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XVII ტური გუშინწინ შედგა. დიდ ინტერესს იწვევდა ჩემპიონატის 2 ლიდერის — „სელტიკისა“ და „გლაზგო რეინჯერსის“ შეხვედრა. მართალია, „სელტიკი“ ამჟამად საუკეთესოდ თამაშობს, მაგრამ მაინც არავის ეგონა, თუ იგი „რეინჯერსს“ მოუგებდა. „სელტიკმა“ კი შეძლო თავისი ყველაზე საშიში მეტოქის დამარცხება და ისიც ანგარიშით 5:1!

გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს: ჩალმერსმა (3), გალახერმა და მერდოკმა. „სელტიკის“ ამ წარმატების შემდეგ ბრიტანეთის სპორტულ კომენტატორებს მიაჩნიათ, რომ გუნდს ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მატჩები ამ ორ გუნდს შორის, როგორც წესი, სკანდალით თავდება ხოლმე. გლაზგოელმა გულშემატკივრებმა ორშაბათსაც არ უღალატეს ტრადიციას — ქალაქის მერიისა და პოლიციის სპეციალური ზომების მიუხედავად, სტადიონზე კვლავ ატყდა ჩხუბი და მრავალმა მაყურებელმა პოლიციის განყოფილებაში ამოყო თავი.

17 ტურის შემდეგ 31 ქულით ლიდერობს გლაზგოს „სელტიკი“. „გლაზგო რეინჯერსი“ 29 ქულით II ადგილზეა.

(საქ. ინფ.).

# პელე... ბრინჯაოში

რიო-დე-ჟანეირო, 3 იანვარი. მომავალში, როცა პელე თავის კლუბ „სანტოსთან“ ერთად შორეულ ტურნეში გაემგზავრება, დიდი ფეხბურთელის ფანატიკური თაყვანისმცემლები თავს ობლად არ იგრძნობენ. ძალიან მალე პელე, თუმცა ბრინჯაოს ქანდაკების სახით, სამუდამოდ დასახლდება სან-პაულუს ერთ-ერთ პარკში. მოქანდაკე ლუის მარონე, რომელიც ამ ძეგლზე მუშაობს, ბრაზილიელი გულშემატკივრების კერპს გამოძერწავს მთელი ტანით და, რა თქმა უნდა, ფეხბურთის ბურთით.

ქანდაკების ასაგები ფული (6 მილიონამდე კრუზეირო) შეგროვდა სპორტის მოყვარულთა შორის ხელმოწერით, რომელიც ჩატარდა სან-პაულუს ერთ-ერთი სატელევიზიო კომპანიის ინიციატივით.

თითებზე შეიძლება ჩამოვთვალოთ სპორტსმენები, რომლებსაც სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი. მაგრამ 25 წლის ფეხბურთელს ჯერ არასოდეს ხვედრია ასეთი პატივი.

მაისში ან ივნისში პელეს ცხოვრებაში კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდება. იგი დაქორწინდება 20 წლის სანტოსელ როზმარი ჩოლბისთან. მაგრამ ესეც კი არ დაარღვევს პელეს საფეხბურთო კალენდარს. მას განზრახული აქვს თაფლობის თვე შეუთავსოს თავის კლუბში თამაშსა და 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას.

# „ტორნეო სექსტაგონალი“ მეხიკოში

6 იანვარს მეხიკოში იწყება ტრადიციული „ტორნეო სექსტაგონალი“ („ექვსთა ტურნირი“), რომლის მთავარი მიზანია მექსიკელ ფეხბურთელთა მზადება მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ტურნირის შემადგენლობა მეტად საინტერესოა: „ვასკო და გამა“ (ბრაზილია), „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია), გდრ-ის ნაკრები, მექსიკის ოლიმპიური ნაკრები, ამ ქვეყნის ახლანდელი ჩემპიონი „ამერიკა“ და ცნობილი გუნდი — „გვადალახარა“, რომლის შემადგენლობაში კვლავ გამოდის 37 წლის ანტონიო კარბახალი. იგი უკვე მეხუთედ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში.





რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04804